ᲨᲗᲐᲐᲒᲝᲜᲔᲑᲓᲔ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲡᲘᲣᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ, ᲫᲛᲝᲑᲐᲡ, ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ!

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ
ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ
ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

1990 ᲬᲚᲘ | ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡᲘ | №1. | ᲤᲐᲡᲘ 50 ᲙᲐ�პ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თანაგრძნობა, ძვირფასო გორელებო!

საიდან დავიწყო?

იქიდან, რომ უჭირს საქართველოს?

ეს გაჭირვება ჩემსავით მოგეხსენებათ.

ჩვენ რომ დღეს საშინელ ომში არ ვიყოთ ჩაბმული და ოთხივ კუთხით არ გვიტევდნენ, მაშინ რაღა „გვეფრონტებოდა“?

დიახ, ომში ვართ, ახლა მთავარია, როგორც არასოდეს, მხარი მხარს მივცეთ, ეგრო კიდევ ზურგი ზურგს, (სამწუხაროდ ზურგიდან გვეპარებიან).

მე მწამს და მჯერა, რომ გორის „სახალხო ფრონტი“ ამ გაჭირვების ჟამს უთუოდ იტვირთავს ამ სიტყვას ჩვენს დიად, ჩვენს ქართულ ეროვნულ მოძრაობაში.

მე, რა თქმა უნდა, თქვენთან ვარ!

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲗ, ᲔᲠᲗᲐᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗ —
ᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ
ᲙᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ.

1989 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ.

▽ ▽ ▽

მომსწრეო ასი უღლისა,
გამტეხო ასი უღლისვე,
მგმობო შინაურ შუღლისა,
გაზაფხულს რომ გრძნობ ქუსილზე,
ვერ გადაგულაბოს უღირსმა,—
ისე დაუსვდი უღირსებს,
რომ მოჰქვეს სისხლის დუღილსაც
თავისუფლების უსვი მზე.

უცნაური ბედი ხვდა წილად ქართლის რეგიონული სახალხო ფრონტის გაზეთს, რომლის პირველ, იანვრის (აპრილის) ნომერს... დღეს მიიღებს მკითხველი. მისეული აწყობილი გაზეთის დაგვიანებით გამოსვლისა ისაა, რის წინააღმდეგაც ვიბრძვით: ბიუროკრატიზმი, ადმინისტრალიზმბრძანებლური სისტემა, უკიდურესად მოშლილი ეკონომიკა, ეროვნული მოძრაობისადმი ზოგიერთი ფუნქციონერის ქრონიკული. შიში და განდგომა...

ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ეროვნული ძალების კონსოლიდაციას საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. ოღონ, რაც შეეხება ოფოზიციის პოზიციას, იგი გაცხადებულია დიდი ილიას სიტყვებში, რომელიც გაზეთის დასაწყისად გამოვიყენეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ხელახალი დაპყრობის ფაქტიკა

როგორც იქნა, მცირე ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცა. მართალია მთლად არ ჩამქრალა, მაგრამ მაინც ოდნავ მინავლდა სხვადასხვა ტრაგიკული და დრამატული მოვლენებით გამოწვეული ვნებათა ღელვანი. თუ ღმერთმა ინება და დაგვცალდა, დროა, გავაანალიზოთ გასული წლის აპრილის შემდგომი ამბები და საჭირო დასკვნები გამოვიტანოთ.

ამჯერად, მინდა, მკითხველის ყურადღება გავამახვილო ძირითადად ეთნიკურ კონფლიქტებზე, რადგან თუ ღრმად ვერ ჩავწვდით მათ გამომწვევ მიზეზებს და შესაბამისი ზომები არ მივიღეთ, გაგვიძნელდება იმ დიდი მიზნის მიღწევა, რომელსაც ასე ელოლიავება თითოეული ჩვენთაგანი. მით უმეტეს, რომ „ცხელი წერტილების“ რიცხვი დღითიდღე მატულობს და თანდათან იფართოვებს გეოგრაფიულ საზღვრებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში არც ეროვნული და არც სარწმუნოებრივი დევნა არასოდეს ყოფილა, აუცილებელია, პასუხი გაეცეს კითხვას — რა ხდება ჩვენს თავს?

ერთაშორისმა შუღლმა თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა მოიცვა, და, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ეღერდეს, ერთადერთი რუსეთის ფედერაციაა, სადაც ეს საკითხი არ გამწვავებულა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ რუსეთი განივრცო დაპყრობილი ხალხების ხარჯზე და მკვიდრი მოსახლეობა, სხვადასხვა სახის ავტონომიებით, ძალით შეიყვანა თავის შემადგენლობაში. ზემოთ თქმული გვაფიქრებინებს, რომ ერთაშორისი კონფლიქტები ინსპირირებულია, და, ინსპირირებულია ისეთი ძალების მიერ, რომლებიც ყველანაირი ხერხებით ცდილობენ იმპერიის შენარჩუნებას. ამ ვარაუდის სიცოცხლისუნარიანობის დასადასტურებლად მცირე ისტორიულ ექსკურსს მივმართოთ.

1788 წლის 24 ივლისს აღმოსავლეთ საქართველოს და რუსეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც „გეორგიევსკის ტრაქტატად“ არის ცნობილი და რომლის 200 წლისთავი ამ შვიდიოდე წლის უკან დიდი ზარზეიმით აღინიშნა საქართველოში.

ხელშეკრულების საფუძველზე დამყარებული უფლებრივი დამოკიდებულება ხელშემკვრელ მხარეებს მიაჩნდათ, როგორც — „მფარველობა და კავშირი“ (პირველად მაშინ შემოგვაპარეს „კავშირი“, რომლის სხვადასხვა ვარიანტებს დღემდე ვერ დავაღწიეთ თავი). ამ „კავშირს“ თითქოს მნიშვნელოვნად უნდა გაეუმჯობესებინა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, მაგრამ სიბნელეში პირიქით მოხდა. ხელშეკრულებას საქართველოსათვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია. კარგად იცოდნენ რა რუსეთის „მადის“ ამბავი, მაჰმადიანური სამყაროს სახანოები თუ საფაშოები ურთიერთ შუღლს შეეშვნენ და ეკერთიანების გზებს დაუწყეს ძებნა. სულ მალე საქართველო სამი მხრიდან მტრებით შემორტყმული აღმოჩნდა.

1787 წელს დაღესტნელთა შემოსევა რომ უკუიქცა, ერეკლე მეფემ, რომლის ლაშქარში რუსეთის მხედრობაც ერია, განჯისაკენ გაილაშქრა, მაგრამ რუსის ჯარი ბრძოლის ველს განერიდა და ქართველები მარტო შეატოვა მტერს. „მოკავშირეთა“ ასეთი „დახმარება“ უცხო არ იყო ერეკლე მეფისათვის, მაგრამ მან 1792 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის საშიროება რომ იგრძნო, რუსეთის მთავრობას ერთხელ კიდევ სთხოვა მაშველი ჯარების გამოგზავნა. ისევ უარი. აქ მინდა ივანე ჯავახიშვილს დავესესხო: „ისე გამოდიოდა, რომ ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, როდესაც ამას რუსეთი საჭიროდ დაინახავდა და არა მაშინ, როცა საქართველოს უჭირდა“.

რაც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას მოჰყვა, ყველას კარგად მოეხსენება.

რუსეთმა მიაღწია თავის მიზანს. საქართველო იმდენად დაუძლურდა, რომ იმპერატორმა პავლემ სრულიად უცერემონიოდ გამოსცა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. თანაც მანიფესტს ისეთი სახე მისცა, თითქოს გიორგი მეფე თვითონ თხოვდა იმპერატორს, რომ საქართველო რუსეთისათვის სამუდამოდ შეეერთებინა. მსგავსი უტიფრობის მსხვერპლი შემდგომშიაც არაერთხელ გამხდარა საქართველო და არა მარტო საქართველო.

რუსეთის იმპერიალისტური მისწრაფებანი ჯერ კიდევ იმ დროიდანაა ცნობილი, როდესაც მამაკაცს, ქალაქს, სამთავროს ვლადიმირი დაარქვეს. მსოფლიოს დაპყრობა, მოგეხსენებათ, იოლი საქმე არ გახლავთ და, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია, თანდათანობით უნდა განხორციელდეს. სხვადასხვა სამთავროების „ჩაყლაპვის“ შემდეგ, რუსეთს მოზრდილი და გემრიელი ლუკმა ჩაუვარდა პირში და ჩათვალა, რომ დამშვენდებოდა ამ ტრაპეზის უკვდავყოფა. „ვლადიკავკაზი“ ბუნებრივად აუღერდა რუსულ ენაზე. მადა ჭამაში მოდისო და აღარც „ვლადივოსტოკმა“ დაიყოვნა.

შეიქმნა რუსეთის უზარმაზარი იმპერია, რომელსაც სრული ჰარმონიისათვის შესაფერისი ფილოსოფიურ-იდეოლოგიური საყრდენიც გამოუძებნეს — ჩამორჩენილ ხალხებში კულტურისა და განათლების შეტანა. მიდი და ნუ დაიფასებ რუსეთის ხელგაშლილობას: ეს-ესაა, რის ვაი-ვაგლახით, რადაც კულტურა და განათლება შეიძინა და მაშინვე სხვა ერებს უწილადა.

ამით დასრულდა იმპერიალისტების პირველი გაკვეთილი. რასაკვირველია, „სუფთა წერის“ გაკვეთილი არ გახლდათ, — ნამეტანი ბინძური ხელებით იყო ნათითხნი, ასეა თუ ისე, მოკლედ გავიმეოროთ:

„სამოკავშირეო“ ხელშეკრულება;
საქართველოს ჩათრევა მისთვის საზიანო კონფლიქტებში;
სრული დაუძლურება და დაჩიავება;
დაპყრობა, „კეთილშობილური“ მიზნით — კულტურისა და განათლების შესატანად.

დავიხსომოთ ეს გაკვეთილი და ჩვენი საუკუნის პირველ მეოთხედში გადმოვინაცვლოთ.

საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა.

1918 წელს ერთმანეთის მიყოლებით იფეთქა ოსთა და აფხაზთა „აჯანყებამ“. 1919 წელს მესხეთში მცხოვრებმა თურქებმა თხოვნით მიმართეს თურქეთის მთავრობას, რათა შეეერთებინა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. 1920 წელს კვლავ „აჯანყდნენ“ ოსები, მათ შექმნეს „რევკომი“, რომელიც გადაწყვეტა შეერთებოდა რსფსრ-ს.

1920 წელს საბჭოთა რუსეთსა და დემოკრატიულ საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება.

1921 წლის 25 თებერვალს წითელმა არმიამ დაიპყრო საქართველო, რასაკვირველია, ისევ „კეთილშობილური“ მიზნით.

ამით მთავრდება მეორე გაკვეთილი, რომელიც თითქმის მთლიანად იმეორებს პირველს:

„სამოკავშირეო“ ხელშეკრულება;
ერთაშორისი კონფლიქტები;
დაპყრობა.

მხოლოდ, ამჯერად, ახალი იმპერიის ფილოსოფიურ-იდეოლოგიური საყრდენი სხვაა: კაცობრიობის „ნათელი მომავლისათვის“ — კომუნიზმისათვის ბრძოლა. კომუნიზმი კი ისეთი ნატვრისთვალია, შეიძლება „ვლადიმირიც“ კი რეალური გახადოს და დაიძრა რუსეთის იმპერია „კაციობრიობის საოცნებო მომავლისაკენ“, ვლადიმირის სარდლობით — „ვლადიმირისაკენ“. გზადაგზა საფუძველი ჩაეყარა „ვლადივეროპას“, „ვლადი აზიას“, „ვლადიაფრიკას“ და „ვლადიამერიკას“. „ვლადიავსტრალიისათვის“ ძალა აღარ ეყო და... მუხრუჭების ხრჭიალის ხმა მთელ მსოფლიოს მისწვდა.

განვლილი მასალა რომ კარგად გვხსომებოდა, აღვილად მივხვდებოდით, რომ ნაცნობი გაკვეთილის ჩასატარებლად გვამზადებენ:

ერთაშორისი კონფლიქტები — სახეზეა;
ახალი „სამოკავშირეო“ ხელშეკრულება — მზადდება;
ფილოსოფიურ-იდეოლოგიური საყრდენი — „ევროპის საერთო სახლი“ — მოფიქრებულია.

ასე, რომ უნდა ველოდოთ საქართველოს მესამედ დაპყრობას, ისევ ჩვენდა „სასიკეთოდ და სიბედნიეროდ“.

როგორც ვხედავთ, წერილის დასაწყისში გამოთქმული ვარაუდი დასტურდება: ყველა კონფლიქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს, ინსპირირებულია იმპერიის მიერ და ამიზნულია საქართველოს ხელახალი დაპყრობის შესაძზადებლად.

ფრთხილად, საქართველოვ!

ვაჟა დადიანიძე.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II აკურთხებს გორიჯვრის ეკლესიას.

მიმართვა

ცხინვალისა და ჯავის ოსებისადმი

ცხინვალში გავრცელდა ხმა, თითქოს საქართველოს ეროვნული მოძრაობა მიზნად ისახავდეს საქართველოდან ოსების განდევნას იმ თავხედური მოთხოვნების გამო დასჯის მიზნით, რომლებიც წამოაყენა დეპუტატთა საბჭომ ქ. ცხინვალში ამ ცოტა ხნის წინ. ამ ხმის გამავრცელებლები არიან პროვოკატორები და ძმათა შორის შუღლის მთესველები.

არ უსმინოთ მათ!

თვალის ჩინივით გაუფრთხილდით თქვენი და ჩვენი ხალხის ძმობას! იცოდეთ, რომ ოსი მოსახლეობის ბედი მომავალ საქართველოში დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ გაგვიწევთ ძმობას და თანადგომას დღეს!

აუხსენით თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს, რომ საქართველოს მიწაზე ცხოვრობთ და ამიტომ ვალდებულნი ხართ, საქართველოს პატივი სცეთ!

აუხსენით თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს, რომ საქართველოში ოსი არასოდეს არავის შეუვიწროებია და არც მომავალში შეავიწროებს.

აუხსენით მათ, რომ ჩვენც და თქვენც ძმობა ისე გვჭირდება, როგორც ჰაერი.

ჩვენც გვჭირდება, რომ ოსები გვერდით დაგვიდგეთ ჩვენს ეროვნულ ბრძოლაში.

თქვენც ჩვენთან ერთად უნდა იბრძოლოთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რადგან მომავალ თავისუფალ საქართველოში ყველა ხალხის შვილები უკეთესად იცხოვრებენ, ვიდრე დღეს ცხოვრობენ.

ძმებო და დებო, თქვენი იმედი გვაქვს. არ გვიღალატოთ!

საქართველოს ეროვნული მოძრაობა.

◎ ჩ ვ ე ნ ი ა რ ქ ი ვ ი დ ა ნ ◎

ჩერნობილი გრძელდება... გორში

შარშან კიევში ყოფნისას ერთი მეგობარი მწერლის ბინაზე მიგვიპატიჟეს, მალე გავუშინაურდით იქაურობას. საშზარეულოში ონკანი მოვუშვი და წყალი დავლიე. მასპინძელმა ეს დაინახა და მითხრა, რომ გაუფილტრავ წყალს არ ვსვამთო და მაჩვენა ჩასართავი მოწყობილობა - პროფილაქტიკური საშუალება რადიაციული ნივთიერებებისაგან თავდასაცავად.

თითქმის სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩერნობილის ტრაგედიამ შესძრა ქვეყანა. დროს თავისი მიაქვს, ტკივილი გვავიწყდება ან ახალი ტკივილით იცვლება. ჩერნობილის ექო კი ისევ გაისმის... გორში. როგორო?— გაიკვირვებს მკითხველი.

გორის ხორცკომბინატში უკრაინაში დახხივებული ხუთასამდე ტონა ხორცი ინახება. იგი თავის დროზე უკან გააბრუნა რუსეთის და საქართველოს რამდენიმე კომბინატმა, ჩვენ კი მივიღეთ. საღი ხორცის შენახვის დროც კი ამოიწურა, არამც თუ დახხივებულისა. თაგვებს ყველა ხვრელს ვერ ამოუჭოლავ. აშკარად ჩნდება ეპიდემიის საშიშროება.

მახსოვს, როდესაც რედაქციაში ვმუშაობდი (მაშინ ახალგაზრდა ჟურნალისტი გახლდით) ვატარებდით რეიდებს სანეპიდსადგურის, სახალხო კონტროლის წარმომადგენლებთან ერთად. ვნახავდით ერთ კილოგრამ გაფუჭებულ ხორცს და განგაშს ვტეხდით.

ახლა კი რა?... დავსხდებით აქტივის კრებაზე თუ სესიაზე. გავიყოფით ორად — ზემოთ უფროსობა, ქვემოთ —ქვეშევრდომობა, ვილაპარაკებთ ყველაფერზე და... არაფერზე.

მე არ ვიცი, რაღაცამ რომ იფეთქოს, რომელი ინსტანციებიდან დაიწყება მოხსნები, მაგრამ ეს ღონისძიება რაღას გვიშველის.

როგორც მივაღებინებთ ხორცკომბინატის ხელმძღვანელობას უვარგისი პროდუქცია, ისე მივეხმაროთ მის მოშორებაში.

მე მითხრეს, რომ მისი დასამარხი სარკოფაგი უნდა აშენდეს. ჩანს საქმე მართლაც სერიოზულად არის, რაკი ასეთ დამარხვას უპირებენ იმ ხორცს.

ჯერჯერობით კი არ ვიცით, რას ახვევენ. იქნებ სიკეთეს?... რაღაცა არა მგონია. საჯაროობის, სიმართლის თქმის და გულახდილობის ამ პერიოდში ვაცნობოთ პრესის საშუალებით მოსახლეობას რა დოზის რადიაციას იღებს ქალაქი შინდისის გზატკეცილიდან. ეკოლოგიური პრობლემები მარტო ლაპარაკით არ გადაწყდება. ამას მე ვგრძნობ, როგორც მწერალი და დეპუტატი კი არა, როგორც მოქალაქე გორისა, სასუფრო ხოტბა-დიდებას რომ არ ვაკლებთ ამ ბოლო დროს.

ჯემალ ინჯია.

მინაწერი: ეს წერილი ერთი წლის წინ გადავცა გაზეთ „გამარჯვების“ რედაქციას, რომელმაც საჭიროდ არ ჩათვალა მისი გამოქვეყნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ფ-4 ?.

ყველას უყვარდი, შმაგი!

წავიდა და წამებულის გვირგვინით შეიმოსა „სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელითა“.

ILIA.

გუშინ ჩვენი იმედი და სიხარული, დღეს დიდ ტკივილად ქცეულხარ! ძალიან გაგვეჭირდა, გაგვიძნელდა უშენობა. როგორ გვაკლიხარ, როგორ გვენატრები... უძლურია სიტყვა ამ განცდის გადმოსაცემად.

წარმოუდგენლად ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ ველარ გნახავთ, ველარ მოვისმენთ შენი ასაკისათვის შეუფერებელი სიბრძნითა და გონიერებით გამორჩეულ, საოცარი იუმორით შეზავებულ საუბარს. როგორ გვაკლია შენი სითბო, შენი ყურადღება, როგორ გვჭირდება შენი რწმენა, ოპტიმიზმი, რაღაც შეუცნობელი, მაგიური ძალით რომ გადმოგვდებდი ყველას.

როგორ აკლიხარ შენს მშობლიურ თეატრს! ლეგენდად დარჩება შენი პირველი და უკანასკნელი როლი — გველეშაპი (პ. ტოდოროვის „გველეშაპის ქორწინება“) ყველას ცნობილებაში, ვინც კი გნახა ამ სპექტაკლში, სადაც შენი ხულიერი სიმდიდრე გამოგადგა გმირის სახის გამოძერწვაში: ზეადამიანური განცდები, ბუნების საოცარი აღქმის უნარი, პოეტურობა, უსაზღვრო სიყვარული, ფაქიზი სული, ერთგულება, — შენი გმირისათვის დამახასიათებელი ყველა ეს თვისება, შენს პირად თვისებებს ემთხვეოდა. ალბათ ამიტომ იყო შენი თამაში ასე უშუალო, დამაჯერებელი, განუმეორებელი.

შენი სახით თეატრმა დაკარგა ჭეშმარიტად ნიჭიერი მსახიობი. რამდენი შემოქმედებითი სიხარული გელოდა წინ, რამდენი სცენიური სახე უნდა გაგეცოცხლებინა... ტყუილი არ შეგეძლო და გულწრფელად განაცხადე: „თეატრს თავს ვანებებ, უფრო მნიშვნელოვანი საქმეა საკეთებელიო“. ვერ შეველიეთ, უფასო შვებულებაში გაგიშვეს. ახლაც შვებულებაში ჰგონიხარ სიმწრით დამუშავებულ, მგლოვიარე მსახიობებს, წვერმოშვებულ, ნირწამხდარ ბიჭებს, ძაძით მოსილ ქალებს. შესცქერიან თეატრის კარს, რომელსაც ეს ალრალის შემდეგ მუდამ დალლილ-დაქანცული, უძილო, მშიერ-მწყურვალ, ფერმკრთალ, მაგრამ კეთილმეზობლიანი სახით შემოაღებდი ხოლმე და თან მოგეჩინდა სიცოცხლის ხურინელი. რწმენა, იმედი!

თურმე როგორ გვყვარებიხარ! ნეტა სიცოცხლეში თუ ვახარხებდით ამის გამოხატვას; თუმცა შენს ფაქიზ, პოეტურ ბუნებას მტრისა და მოკეთის გარჩევა არ შეეშლებოდა. იმას კი ვერ იფიქრებდი, ნამდვილად ვერ წარმოიდგენდი, შენი დაკარგვა ასე თავზარდამცემი თუ იქნებოდა განურჩევლად ყველასათვის, — მთელი საქართველოსათვის!

გულწრფელად დაგტირია ხალხმა, დაუფფერებელი, ალალი ცრემლი გაგაყოლა თან. ტიროდა ყველა — დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გგლოვობდა ცხოვრებისაგან ტანჯულ, უიღბლო, ობოლ ბიჭს, საქართველოს სიყვარულში რომ ჩაიფერფლე!

ცხოვრებამ მწარე გამოცდა მოგიწყო! ჯერ კიდევ ბავშვობაში თავსდატეხილმა უბედურებამ შეგაცნობინა ცხოვრების სისასტიკე — დედის ტრაგიკულ აღსასრულს თვითონ შეესწარი და მთელი სიცოცხლე ამ მოუშუშებელი იარას მალავდი. უდედმამოდ გაზრდილს, სცენაზეც არ დაგცალდა ვინმეისთვის დაგეძახა „დედა“, არა და, რა კარგი შვილი იყავი, დედისერთას და ძმისა და ცოლ-შვილის სითბო არ განგიცდია, ისე წახვედი ამ ცხოვრებიდან სცენაზეც ეული გმირი ითამაშე, შინაგან მხოლოდ ამაღლებული გრძნობები, რწმენა, სიკეთე, მაღალი იდეალები და იმ „საუფლოს“ სიყვარული რომ გააჩნდა, რომელიც მას ეკუთვნოდა.

თითქოს გულმა უგრძნოთო, შენს გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე „ფველეშაპის ქორწინების“ მხატვარმა პ. სტოიკოვამ დარეკა ბულგარეთიდან: „ცუდ სიზმრებს ვხედავ, შმაგი როგორ არისო?!“ მასრებში სანთლებანთებულ ქართულ ჩოხაში გამოწყობილი დაუხატიხარ! გარდაცვალების დღეს კი შენმა რეჟისორმა პ. კარაპეტკოვმა დარეკა ვენიდან. ეს უბედურება რომ შეიტყო, სასწრაფოდ დაგვემშვიდობა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ განმეორდა ზარი. მთელი ხმით მოსთქვამდა: „რა მითხარით? ვინ მოკლეს?! შმაგი?! გველეშაპი მომიკლეს?!“ ისინიც ვტირიან! მათაც დაგინთეს სანთლები!

ყველას უყვარდი, შმაგი!

უკანასკნელი ღამე თეატრის კედლებში გაათენე, დაბადების დღეც იქ „აღგინიშნეთ“ მოთქმა-ტირილით. სცენიდან კიდევ ერთხელ მოგეცა საშუალება შენი დუმილით გეთქვა იმაზე მეტი, ვიდრე სიცოცხლეში აბერხებდი. ტაში გაგაცილეს... (შენ ხომ მსახიობიც იყავი.) თეთრი ცხენი მხუძლოდა არნახული პროცესიას, რომელმაც ის გზა გაგატარა, რომელზეც 26 მაისს — საქართველოს ყველაზე ბედნიერ დღეს, ზღვა ხალხი გაიყოლე; ოღონდ ეს მსვლელობა ალარ იყო სიხარულით გაცისკროვნებული, იმედიანი კი იყო — ეს ტკივილიანი გზა (მსვლელობა) ქართველი ერის უკვდავებაზე მეტყველებდა, მტერს ახსენებდა, რომ არ უწერია დამარცხება ერს. რომელსაც შენნაირი შვილები გაუზრდია! კუბოს ვარს შემოერტყნენ მტკაცე კედლად ხელიხელჩაჭიდებული ვაჟკაცები, თვალცრემლიანი. მწუხარე ბიჭები. თუ ეს კედელი არ დაირღვევა. თუ ხელ ასე ხელიხელჩაჭიდებულნი „აკლით, მაშინ შენი სანუკვარი ოცნება ახდება, ჭვარცმული საქართველო გაიმარჯვებს, შმაგი!

„ერი თავისი გმირებ[illegible] ცხოვრებითა და მაგალითებით უნ[illegible] [illegible]ოდდგმულობ[illegible]ს, თუ მართლა ე[illegible]ესურს. სახელოვან გმირთა მაგალითებით.. ისტორია ხუროთნეს ერსა, ზრდას, და დიდებულნი საქმენი კიდევ [illegible] [illegible] [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ. ლ. ... საქართველოვ!

ის წელი გველის წელწადი იყო, ჩემო შმაგი, შენც შენი პირველი და უკანასკნელი როლი ითამაშე მშობლიურ თეატრში — გველეშაპის როლი. შენი გველეშაპი შეყვარებულია და, როდესაც მისი მოკვლა განიზრახეს, წინ მშვენიერი ასული გადაეფარა. იმ ღამეს კი ადარავინ აღმოჩნდა შენს გვერდით... მაშინ ვერავინ გადაგეფარა... არადა რამდენი ქალ-ვაჟი წაგვგვარა შარშან გველეშაპმა... შენ ყველგან იყავი, სადაც შენს საქართველოს უჭირდა: აფხაზეთში თუ მარნეულში. ოსებისა უფრო ვეიმედებოდა. იძახდი — „სისულელეაო და ჭორებს ნუ ავყვებით, ოღონდ ფხიზლად ვიყოთ. და, მაშინ, როდესაც ბოლო ღამეს ათევდი შენს საყვარელ ქალაქში, შენთან მოვიდა ერთი ოსი ბიჭი, ქუდი მოიხადა, ცრემლი მოიწმინდა, მერე შემოგვიტრიალდა და გვითხრა: „რა ვქნა, ოსი ვარ და, რაც გინდათ, ის მიყავითო.“

უცნაური კაცი იყავი და უცნაურად, დასრულდა შენი მშფოთვარე ცხოვრება. რამდენიმე დღით ადრე ჩვენთან შემოირბინე, ყველანი მოგვიკითხე, გაგვამხნევე, როგორც ყოველთვის, სადღაც გეჩქარებოდა. მერე მტკივნეი ხელიდან თაბაშირის სახვევი მეხსნენი, კარადაზე შემოდე და სიბნელეში გაუჩინარდი... იმ საბედისწერო ღამეს გვიანობამდე გელოდეთ შტაბში, რა ვიცოდით თუ ივსოსთან ვახშმად იყავი მიწვეული მისი დაბადების 1990-ე წელს...

შენი დაკრძალვის დღეს კი შენი დაბადების დღე იყო და იმ ციფრისა შესრულდი, შენს სქართველოს ერთ დროს კვლავაც საოცნებო თავისუფლება რომ მოუტანა — 26-ისა.

...სამგლოვიარო მიტინგი თეატრში დაიწყო. შენ სცენაზე იყავი დასვენებული და შენს მაყურებელს ეთხოვებოდი. ტრაგიკულად დასრულდა შენი ბოლო და ყველაზე დიდი როლი. მერე აგიყვანეს და წაგიღეს მარადისობაში... გვერდით თეთრი ცხენი მოგყვებოდა, არვირმიშვებული და შავად მორთული. ვიღაცა შავებში გახვეული ქალიშვილი თავს ახლოდა მოღრუბლულ ზეცას. ბიჭები საფანტით ხვრეტდნენ ღრუბლებს. ჰაერში წამლის სუნი იდგა, ხოლო შენს ცხედართან — თეთრი ცხენი — შენსავით შმაგი და მე უცებ მეგონა, რომ წმინდა გიორგი იყავი, ცხენიდან გადმოვარდნილი და ბოლომდე ვერ დაიჯერე გველეშაპის სიბინძურე... მაგრამ წელს ცხენის წელიწადია, ჩემო შმაგი. იმ თეთრ ცხენს შავს მოაცლიან ჩვენი ბიჭები და შენი ოცნებისაკენ გაიქროლებენ, ოცნებისაკენ, რომელსაც თავისუფალი და დემოკრატიული საქართველო ქვია...

ახლა შუადამეა ჩვენს მშობლიურ ქალაქში. დაახლოებით ის დრო, როდესაც მარადისობაში გადადიოდი. თოვს და შიგადაშიგ წვიმასაც ურევს. ქალაქი სავსეა ლანდებით და გუბეებით. ქუჩებში ჯდიარება ლანდი დარბაისელი ჩორახისა, „რომლის საგანი ერთადერთი იყო — საქართველო და მისი სიყვარული... თითებს შემოატარებდა ჩვენს დაგლეჯილ მიწა-წყალს და მთრთოლვარედ იტყოდა:... მეცოდება ჩემი სამშობლო — საქართველო ნაჭარალი, ნაქორალი, გაგლეჯილ-გამოგლეჯილი, დაჭრილი არწივი, ვეფხვი უსულოდ დანარცხებული! — ეჰ როდის აიკუწება წიბონი გველეშაპისა?..

ღმერთო, შენი მაქვს იმედი! ფეხზე ააყენე ჩვენი მამული, ჩვენი შემფარველი ისტორია, მოგვეც განახლების ძალთა ღონერება! ღმერთო, შენ დაამხე ჩვენი მტერი ქართველთყლაპია! — აღსდეგ საქართველოვ!“

— აღსდეგ, საქართველოვ! — აღსდეგ, საქართველოვ!

...როდესაც ოთახში შევდივარ და თვალს ვავლებ შენს დანატოვარ თაბაშირის სახვევს, უნებურად გავიფიქრებ ხოლმე — ნეტავი ხულის გამრთელებაც შეძლებოდა ამ დალოცვილ თაბაშირს, ჩემო შმაგი, ნეტავი!

ზაზა მეგადური.

● ჩვენი არქივიდან ●

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს

ამხ. ე. ა. შევარდნაძეს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ამხ. პ. გ. გილაშვილს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხ. დ. ლ. ქართველიშვილს

ყველამ კარგად ვიცით, რომ თქვენ განუზომლად დაკავებული ბრძანდებით ეკონომიკისა და კულტურის, ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის თანადროული საკითხების მრავალი პრობლემის შესწავლა-გადაჭრით და ასეთ ვითარებაში ერთობ ძნელია თქვენი შეწუხება, მაგრამ ქვემოთ წარმოდგენილი ჩვენი წინადადებების განხორციელება თქვენი დახმარების გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია, ამიტომ მოკრძალებით გთხოვთ გაეცნოთ ჩვენს მოსაზრებებს.

კარგადაა ცნობილი, რომ ქ. გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს სოფლის სკოლებისათვის მასწავლებელთა მომზადების საქმეში პედაგოგ-მეცნიერთა რამდენიმე თაობის შრომით მოპოვებული მდიდარი გამოცდილება გააჩნია, რამაც გაუძლო დროის გამოცდას. და ეს არც არის შემთხვევითი. სოფლის მასწავლებელთა მომზადების პირველი ნაბიჯები აქ, ამ ძველთაძველ ქალაქში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გადადგა. ამასთან, უადგილო არ იქნება, დღესაც გავიხსენოთ გორში ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დაარსების ერთ-ერთი ძირითადი მოტივი: „ამ დაწესებულებამ უნდა მოამზადოს სოფლის მასწავლებლები, მოუხერხებელი იქნება მისი გახსნა დიდ ქალაქში, რადგან სასურველია, ახალგაზრდები დარჩნენ ისეთ გარემოში, რომელიც უბრალო იქნება და მათთვის მკვეთრ განსხვავებას არ შექმნის სოფლის ჰირობებში საცხოვრებლად გადასვლის დროს“ (არქივიდან). და მართლაც, ჯერ კიდევ ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ (1876 წ.) გორში გახსნილმა სამასწავლებლო სემინარიამ დიდი წვლილი შეიტანა ამიერკავკასიის სოფლის მასწავლებელთა მომზადებაში (მის კედლებში აღზრდნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ვაჟა-ფშაველა, დიმიტრი გული, ნარიმან ნარიმანოვი, მუსიკოსი ჰაჯიბეკოვი და მრავალი სხვა). არანაკლები როლი შეასრულა სამასწავლებლო სემინარიის ბაზაზე (1922 წ.) აღმოცენებულმა პედაგოგიურმა სასწავლებელმა, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე დაწყებით სკოლებს გამოუზარდა ათასობით მასწავლებელი. საბოლოოდ კი გორის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა იკისრა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მომზადებაც, რასაც წარმატებით ემსახურება.

თავისი არსებობის თითქმის ხუთი ათეული წლის მანძილზე ინსტიტუტმა ქართლის, მესხეთის, ჯავახეთის და მთათუშეთის მაღალმთიან რაიონების სახალხო განათლების სისტემისათვის მოამზადა 13 ათასზე მეტი კვალიფიციური მასწავლებელი. ამჟამად ამ რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომუშავე მასწავლებელთა უმრავლესობა გორის პედინსტიტუტის კურსდამთავრებულია.

სასწავლო მატერიალური ბაზის განმტკიცებასა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის ამაღლებაში წლების მანძილზე მუშაობით დიდი წვლილი შეიტანეს და ინსტიტუტს ავტორიტეტი მოუპოვეს თვალსაჩინო მეცნიერებმა გიორგი ახვლედიანმა, არნოლდ ჩიქობავამ, ვიქტორ კუპრაძემ, არჩილ ცაგარელმა, სერგი ჟღენტმა, გიორგი ჭოღოშვილმა, ვარლამ თოფურიამ, ალექსანდრე ბარამიძემ, ალექსანდრე ჯავახიშვილმა, ელენე მეტრეველმა, ბესარიონ ჟღენტმა, ელენე ვირსალაძემ და სხვებმა. თავისი არსებობის მანძილზე ინსტიტუტმა აგრეთვე თავისი საკუთარი მაღალკვალიფიციური კადრი მოამზადა (110 პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 9 პროფესორი და 55 დოცენტი, მეცნიერების კანდიდატი), კათედრებმა და პროფესორ-

(დასასრული მე-8 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 6-8

ქართლი

მარად სახსოვარი

24 იანვარს შესრულდა გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწის, დავით აღმაშენებლის გარდაცვალების 865 წელი. დავითი თანამედროვე ქართველთათვის მისაბაძ მაკალითს წარმოადგენს, რადგან მთელი მისი საქმიანობა სამშობლოსათვის თავდადებული, მასზე გადაგებული კაცის მოღვაწეობა და ჩვენთვის ნოყიერ საზრდოს იძლევა ჭკუის სასწავლებლად.

საქართველოს სამეფოს საჭესთან მისული ახალგაზრდა დავითის წინაშე დაახლოებით იგივე პრობლემები (დამპყრობთაგან საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური გათავისუფლება, ქვეყნის ზოგიერთ მხარეში მტრისაგან გაწყვეტილი ქართული მოსახლეობის დაბრუნება და დამკვიდრება, ხალხის ზნეობრივი გასპეტაკება, საკუთარი ლაშქრის შექმნა და სხვა) იდგა, რაც დღევანდელ საქართველოს უდგას.

ამ ხაოცრად ძნელ პრობლემებთან ჭიდილს დავით აღმაშენებელმა ბრწყინვალედ გაართვა თავი. მაგრამ რამდენი სიძნელის გადალახვა დასჭირდა ამისათვის! დამორჩილა და გვერდში ამოიყენა სხვადასხვა გარემოებათა გამო განზე გამდგარი ეკლესია, გულდიდობისა და ზვაობის ეკონომიკური საფუძველი მოუსპო ზოგ ქვეგამხედვარე ფეოდალს, მოაწესრიგა სამართლის საქმე, მიიმხრო ვაჭარ-ხელოსნები. ერთი სიტყვით მთელი ქართველი ხალხი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება. და მისმა პირადმა თავგანწირვამ, აგრეთვე ერის ერთგულებამ ჭეეგერთელა შედეგი გამოიღო. მიზანი შესრულდა — ქვეყანა გაერთიანდა და გათავისუფლდა. სიკვდილის წინ დაწერილ ანდერძში დავითი „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არაგვწამდე და სპერამდე" გადაჭიმულ მიწების პატრონად აცხადებს თავს. არადა საიდან დაიწყო! მეფე რომ შეიქმნა, თურქების შიშით ქართლის ჭალებში, კერძოდ ნაჭარმაგევშიც კი ვერ ნადირობდა. არც იყო გასაკვირი. იმდროინდელი საქართველოს სამეფო საზღვარი ხომ ლიხის მთამდეა მიდიოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მიწები სულ მტერს მიეტაცებია.

დავითი თავის გოლგოთას 18 წლის ასაკში შეუდგა. საკმარისია მის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს გადავავლოთ თვალი, რომ ცხადი გახდეს მათი გეგმაზომიერება და ურთიერთთან მჭიდრო კავშირი. იგი ქმნის ლაშქარს, ოკუპაციის მტრის. თავის მიწა-მამულებში აბრუნებს მტრისაგან აყრილ ქართულ მოსახლეობას, ავიწროებს ორგულ დიდებულებს. 1099 წელს ხარკის ძლევა შეუწყვიტა თურქებს, შემდეგ ეკლესიის საქმეები მოაწესრიგა. ერთი სიტყვით ყოველივე ამით ქვეყანა დიდ

ომებისათვის მოამზადა. 1103 წელს კი აშკარა ბრძოლაზე გადავიდა. აიღო ზედაზენი (1103 წ.), შეიერთა ჰერეთ-კახეთი (1104 წ.), 1110 წ. აიღო სამშვილდე, 1115 წელს — რუსთავი, 1118 წელს — გიში და ლორე, შემდეგ... ვინ ჩამოთვლის მის საქმეებს.

1121 წ. დიდგორის ველზე მუსლიმანთა გაერთიანებული ლაშქარი დაამარცხა და თბილისიც აიღო (1122 წ.). მორჩა, ახდა ქართველი ხალხის ოცნება — არაბობის დროიდან დამპყრობთა ხელში მყოფი ქალაქი მშობლიურ საქართველოს დაუბრუნდა.

ქვეყანა გაერთიანდა, მტრისაგან გაიწმინდა. დავით აღმაშენებელს უკვე შეეძლო გული დაემშვიდებინა. მიზანი ხომ მიღწეული იყო, მაგრამ არ დამშვიდდა, რადგან ახლა მტრის მთელი ამიერკავკასიიდან განდევნას აპირებდა. იგი ლაშქრობს დარუბანდში, იერთებს შირვანს და სომხეთს. თურქ-სელჩუკთა სულთანს საკუთარ რეზიდენციაშიც კი შიშის ზარს ჰგვრის. ქვეყნად აღარავინ არის მისი მძლეველი. და აი, ძლევამოსილების მწვერვალზე მყოფი გარდაიცვალა. მისი ისტორიკოსი სინანულით წერს, რომ სიკვდილმა აღარ აცალა სხვა საქმეების გაკეთებაო. გარდაიცვალა არც თუ ისე ხნიერი — 53 წლის. მაგრამ საკვირველი ის კი არ არის, რომ ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, არამედ ის, როგორ იცოცხლა აქამდე.

36 წელი სულ ომებში გაატარა. ვინ იცის რამდენჯერ გადარჩა სიკვდილს. ერთხელ, მუხნარის მხარეში (დღევანდელი მუხრანი) ნადირობისას ცხენი წაექცა და ისე დაიმტვრა, აღარავის ეგონა, რომ გადარჩებოდა. ბოლოს შედედებული სისხლი ამოანთხია და ხულიც ამოიდგა. მეორედ, რომელიღაც ციხის აღებისას, პერანგის ამარას, ციხიდან ისარი სტყორცნეს და შემთხვევით მთავარანგელოზის ხატს მოახვედრეს, თორემ განგმირავდნენ. რამდენჯერ ყიჩაღების მიერ მიგზავნილ მკვლელს გადაურჩა. მაგრამ სიკვდილის მეტმა ვერავინ დაამარცხა. მხოლოდ და მხოლოდ მან დარია ხელი. და ასე, დამაშვრალი, ალბათ, მრავალჯერ დაჭრილი კაცი თავის წინაპრების ეზას გაუდგა.

მისი გარდაცვალებით დასრულდა საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ხანა. ეს იყო უამი გაცისკროვნებულ დავითის ნიჭით. ეს ეპოქა ბალავრად დაედო კიდევ უფრო ძლიერ საქართველოს, რომელსაც მისი უშუალო შთამომავლები ვაჟი დემეტრე I, შვილიშვილი გიორგი III და შვილიშვილის შვილი დიდი თამარი უძღოდნენ.

ჯემალ სტეფნაძე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ინფორმაცია

ქარელის რაიონში

● რაიონის სახალხო ფრონტი შეეფობს ახალქალაქის ტერიტორიაზე დასახლებულ აჭარელთა ოჯახებს. რამდენიმე თვის წინ ქარელიდან ახალქალაქის რაიონში გაიგზავნა სხვადასხვა პროდუქტები, ტანსაცმელი, ფული. ამ ცოტა ხნის წინ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 15 მანქანა ხილი და საკონსერვო ნაწარმი გაუგზავნეს აჭარელ მოძმეებს.

ამასთან დაიწყო და გრძელდება სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა ჩამოსახლება ქარელის რაიონში. სახალხო ფრონტი ზრუნვა - დახმარებას არ აკლებს მათ, აქტიურად ერევა ყველა სოციალური პრობლემის მოგვარებაში.

● **გრძელდება თანხის შეგროვება ქვემო ქართლში ჩამოსახლებულ ქართველთათვის ბინების შესაძენად. სპეციალურ ანგარიშზე საკუთარი დანაზოგი შეიტანეს რაიონის მეურნეობების მშრომელებმა.**

● რაიონში შეიქმნა სახალხო თრონტის ერი ახალი ორგანიზაცია—მოხისა და ბებნისში.

მოხისელმა ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფელში არსებულ ეკლესიას, დაასუფთაონ მისი ტერიტორია, აღადგინონ რელიგიური რიტუალები.

ბებნისის სახალხო ფრონტმა შეისწავლა სოფლის სკოლაში შექმნილი კრიტიკული ვითარება, აქ სასწავლო პროცესები მიმდინარეობს აუტანელ მატერიალურ პირობებში, მოსწავლეები უბრუნველყოფილნი არ არიან გათბობათ, დაცული არ არის მომსახურების ელემენტარული წესები.

სახალხო ფრონტმა სკოლის დირექტორის საკითხი დააყენა სახალხო განათლების განყოფილების წინაშე.

დირექტორი განთავისუფლებულია სამსახურიდან.

● სახალხო ფრონტმა შეისწავლა მშრომელთა კოლექტიური განცხადებები ავლევში მუშაკთა უკანონოდ განთავისუფლების თაობაზე. სოფლის მშრომელებთან შეთანხმებით მუშაკები დაუბრუნდნენ სამსახურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედამ რომ შვილი გაზარდოს!... ვისთვის?...

დღეს, როცა ბევრ საიდუმლოს აეხადა ფარდა, ამდენი რამ გამოაშკარავდა და ამდენ ადამიანს ჩამოეგლეჯა ნიღაბი, ყველანი მივხვდით, რომ ქვეყნის მიერ 70 წლის განმავლობაში განვლილი გზა სიცრუის, სისასტიკის, სისხლის ღვრის, დესპოტიზმის, სიღატაკის, დამცირების, შეურაცხყოფის გზა ყოფილა მხოლოდ. ყოველივე ამან ადამიანები გააოგნა.

ისიც გამოირკვა, რომ საბჭოთა არმიის ძირითად ხაწილში ადგილი ჰქონია ქართველი ჯარისკაცებისადმი, რბილად რომ ვთქვათ, მეტად არასასიამოვნო ფაქტებს, ხოლო ის დემოკრატიული ცვლილებები, რაც ე. წ. გარდაქმნის პერიოდში მოხდა ჩვენს საზოგადოებაში, თითქმის არ შეხებია არმიას.

არმიაში გახშირდა ეროვნული შუღლის ნიადაგზე გამწვავებული კონფლიქტები, ძირითადად კონფლიქტები არარუს და რუს ეროვნებას შორის, რადგან საბჭოთა არმიის გენერალიტეტი და მეთაურთა შემადგენლობა დაკომპლექტებულია ძირითადად რუსი სამხედრო მოსამსახურეებით, რიგითი შემადგენლობა კი ძლიერ ჭრელ ეროვნულ სურათს იძლევა.

ან რატომ გვიკვირს? — საბჭოთა არმია ხომ მემკვიდრეა იმ წითელი არმიისა, რომელმაც 1921 წელს მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, 1924 წელს სისხლში ჩაახშო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, 1956 წელს კი მასობრივი ხოცვა - ჟლეტა მოაწყო თბილისის ქუჩებში.

საბჭოთა არმიამ სსრკ-ს სხვადასხვა მხარეებშიც გამოიჩინა თავი, განახორციელა მასობრივი დამსჯელი ოპერაციები. მისი საშუალებით განხორციელდა ინტერვენციები:

1919 და 1981 წლებში — პოლონეთში,

1940 წელს — ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში,

1956 წელს — უნგრეთში,

1968 წელს — ჩეხოსლოვაკიაში,

1979-1988 წლებში — ავღანეთში.

საბჭოთა არმიის დანაშაულებრივი არსი არც 1989 წლის 9 აპრილს შეცვლილა, როცა მისმა სპეციალურმა ნაწილებმა მოწამლეს და სასანგრე ნიჩბებით დაჩეხეს თბილისში მთავრობის სასახლის წინამდებარე მოედანზე შეკრებილი მშვიდობიანი მიტინგის მონაწილენი. მას შემდეგ კი ფართოდ გაიშალა საკავშირო პრესასა და ტელევიზიაში ადრე დაწყებული ანტიქართული პროპაგანდა. შედეგიც სახეზეა. 65 ქართველი ჯარისკაცი მოკლული უკანასკნელი ნახევარი წლის მანძილზე, ასობით ქართველი ჯარისკაცი ნაწამები და დასახიჩრებული.

აი, რამდენიმე ამონაწერი გაზეთ „საქართველოდან“.

„1988 წლის 11/I წამიყვანეს გაუბახტში (ლეიტენატმა გალადნიაკმა). გამიყვანეს ტუალეტში და მცემეს ხელით, ფეხით, ავტომატის კონდახით, შემდეგ შემაგდეს კამერაში, დააგდეს პოლზე ერთი შინელი, დაასველეს მთლად მთელი ოთახი წყლით და იმ ცივ ღამეში, იანვრის თვეში სველ შინელზე გამათენებინეს, მეორე დღეს ჩამომკიდეს ჭერზე და მცემეს ავტომატით, რეზინის დუბინკით მანამ, სანამ აზროვნება არ დავკარგე. ამას ყველაფერს ხედავდნენ მორიგე ოფიცრები და არავინ არაფერს ამბობდა. (დათო გ.)“

„პროპორშჩიკმა იმის მაგივრად რომ სალდათებისთვის დაეშალა, პირიქით, თვითონ აუხსნა მათ როგორ უნდა ვეცემეთ მათ მე. ჩამომკიდეს „ლასტოჩკაზე“, რომ არ მეყვირა პირზე ლეიკოპლასტი დამაკრეს, ძანამ ვიყავი ჩამოკიდებული, სანამ 100 მანეთის სათხოვნელად ქართველებთან წერილი არ გავატანე. რომ ჩამომხსნეს ზურგზე აგურები დამალაგეს და ზედ ფეხებით ხტუნაობდნენ. ხაცემი ყველა ოფიცერმა და თვით პოლკოვნიკმა მიხაილინინმა მნახა. (ალექსი ბ.)“

„მომიხდა კონფლიქტი ნაწილის ოფიცრებთან საკართველოს დროშის ტარების გამო. მათ მომთხოვეს დროშის მოხსნა და გადაგდება... სამმა ოფიცერმა დამაბა ქამრით და ეკლიანი მავთულით, რისი ნასახეებიც ახლაც მატყვია. მერე კი მცემეს. შემდეგ ხელ-ფეხ შეკრული ჩამსვეს გაუბახტში. სამი დღე და ღამე მიკეთებდნენ „ლასტოჩკას“, მერე ჩამაგდეს ქლორში ორი საათი... ჰოსპიტალში არ მომათავსეს, გავაგრძელე სამსახური (მ. ბ.)“

რამდენიც გინდათ იმდენი მაგალითის მოტანა შეიძლება, სამწუხაროდ. ეს მაგალითებიც რომ არა, განა ჩვენს დედაქალაქში დატრიალებულმა ტრაგედიამ არ შესძრა ყველა ქართველი? განა მასში არ დაეინახეთ არა დემონსტრანტების დარბევის აქცია, არამედ საშინელი ზიზღი ქართველი ერისადმი და მისი მოსპობის სურვილი? ყოველივე იმის შემდეგ, რაც თავს დაგვატეხეს ასე საქვეყნოდ, ამოხოცეს ახალგაზრდები თავისსავე ქალაქში სიმღერისა და ცეკვის დროს, განა ჩვენ ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ ჩვენი ბიჭების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და ისინი იქნებიან დაზღვეულნი ძალადობისა და დამცირებისაგან?

დაძაბული დღეებით იცხოვრა საქართველომ საშემოდგომო გაწვევის პერიოდში: მიტინგები, წვევამდელთა აქციები, ჯარისკაცთა დედების ასოციაციათა კრებები... არ დარჩენილა გულგრილი ამ საკითხის მიმართ საქართველოში არცერთი არაფორმალური თუ ფორმალური გაერთიანება. იწერება მიმართვა მთავრობის ხელმძღვანელის სახელზე რესპუბლიკაში მცხოვრებ მრავალათასიანი დედის სახელით, ვისი შვილებიც გადიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს კავშირში და კავშირის ფარგლებს გარეთ.

გ. გუმბარიძე საბჭოთა კავშირის დეპუტატთა პირველი ყრილობის ტრიბუნიდან მოიხოვდა — შეიქმნას ეროვნული საკარისო ფორმირებანი და წვევამდელებმა სამხედრო სამსახური ადგილობრივ რესპუბლიკის ტერიტორიაზე...

... და სწორედ ამ კრიზისულ პერიოდში, როცა გორელებმაც იხილეს წვევამდელთა მჯდომარე გაფიცვა, როცა უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ სამშობლოს სწორედ მშობლიური არმია სჭირდება დასაცავად, ქართლის რაიონების გაზეთები (და არა მარტო ისინი) პროპაგანდას უწევენ საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურს ნაირნაირი რუბრიკით.

ქართველი ერის ისტორია განუწყვეტელი ომების ისტორიაა — თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისავის ბძოლის ისტორია. ქართველი დედა უპირველესად მამულს უზრდიდა შვილს და ქართველ კაცსაც არასოდეს გასჭირვებია სისხლის დაღვრა მამულისათვის. სამაგალითოდ მარტო ერთი ხერხეულიძეების დედის გახსენებაც კმარა, ხოლო ქართველი მეფეები სპარსეთისა და ოსმალეთის, მიწაზე ღვრიდნენ სისხლს, თავისი ქვეყნისათვის სულისშთაქმის საშუალება რომ მიეცათ და ქვეყანაში თავისუფლება შეენარჩუნებინათ.

ქართველ კაცს გენეტიკურად აქვს გადმოცემული წინაპრებისაგან სამშობლოსადმი გამორჩეული სიყვარული, ხოლო ქართველ დედას — შვილის გაზრდა უპირველესად მამულისათვის. მაგრამ დღეს სხვანაირად ისმის კითხვა: ვისთვის იზრდით შვილებს?... ეს კითხვა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს.

ნუნუ ოთარაშვილი.

მორიგი სპეციალური აქცია ქ. გორში

(დასასრული)

მასწავლებლებმა ათეული წლების მანძილზე მეტად სასარგებლო ურთიერთობა დაამკვიდრეს ინსტიტუტის რეგიონის სკოლებთან და მრავალი სახის პედაგოგიკურ-მეთოდიკური დახმარება გაუწიეს.

ახლა, როცა პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის შექმნილი ეს სრულყოფილი ბაზა თავისი სათანადო ტრადიციებით კვლავ აღმავლობას განიცდიდა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით (1982 წ.) გორის პედინსტიტუტი იცვლის პროფილს და 1985 წლიდან მარტოოდენ საბუღალტრო აღრიცხვის დარგის სპეციალისტებს მოამზადებს.

ამრიგად, ქართლის გულში ქრება მასწავლებელთა მომზადების საუკუნოვანი კერა და ისპობა რეგიონის რაიონების მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდიკური დახმარების საშუალებაც, არადა, ამ უკანასკნელ წლებში, ისე როგორც ეონომიკა, სახალხო განათლებაც მთელ საქართველოში და, ცხადია, ჩვენს რეგიონშიც დიდ აღმავლობას განიცდის. ამჟამად მარტო ქ. გორსა და გორის რაიონში 90-მდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, სადაც 30 ათასამდე მოზარდი სწავლობს და მას ორიათას ორსამდე მასწავლებელი ემსახურება. ამასთან 67 ბაგა-ბღი, ათამდე სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებელი, სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, მუსიკალური სასწავლებელი და ბევრი სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს. თითქმის ასეთივე სურათია რეგიონის სხვა რაიონებშიც. აქედან ნათელია, რუ რაოდენ საშურია რეგიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლების და აღმზრდელობითი დაწესებულებების მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება პედაგოგობაზე და აღმზრდელებზე.

შექმნილ ვითარებაში თუ არ მოხერხდება ან მიზანშეუწონელი იქნება ახალ პროფილთან პედაგოგიური ფაკულტეტის თანაარსებობა, მაშინ ქ. გორში შეიქმნას ქ. თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც მასწავლებლებს მოამზადებს რეგიონის სკოლები — სათვის, როგორც დაწყებითი განათლებისა და შრომის, ასევე საჭირო ძირითადი საგნების სწავლებისათვის.

სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად ჩვენი [illegible] ბები აქტუალურია თუნდაც იმიტომ, რომ:

1. აქ, გორის პედინსტიტუტში ჩბმული სოფლის ახალგაზრდობა მომზადდება რა პედაგოგიური მუშაობისათვის, კვლავ დაუბრუნდება სოფელს, რომლის განახლება-განმტკიცებისათვის დღეს თქვენს მიერ საშვილიშვილო ღონისძიებები ტარდება.

2. შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ყველა კულტურულ ხალხს პედაგოგიური მეცნიერების თავისი გამოჩენილი კლასიკოსების პატივისცემად აქვს უმაღლესი განათლების პედაგოგიური სასწავლებელი და რატომ ჩვენთანაც, სადაც დაიბადა და აღიზარდა ქართული პედაგოგიური აზროვნების კლასიკოსი — იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, არ უნდა იყოს უმაღლესი პედაგოგიური განათლების კერა?

3. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული ღონისძიებების გატარების გამო აღარ წარმოიშობა პროფესორ-მასწავლებელთა ახლად დასაქმების პრობლემა.

გ. ნამიჩეიშვილი — დოცენტი, საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლის დამსახურებული მუშაკი, კომკავშირის, პარტიისა და შრომის ვეტერანი, ორგზის ლენინის ორდენოსანი.

დ. თევზაძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,.

ჯ. ინჯია — მწერალთა კავშირის გორის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

შ. ქურდაძე — ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე.

ვ. ჩიკოიძე — საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი, შრომის ვეტერანი.

ე. მამისთვალიშვილი — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ი. პავლიაშვილი — დოცენტი, ომის, შრომისა და პარტიის ვეტერანი, ორდენოსანი.

ნ. სამნიაშვილი — შინდისის საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი.

1984 წლის მარტი.

გაუ—მარ—...!



„მოსკოვი, კრემლი, ლენინს, სტალინს..“ გახსოვთ ის ავადსახსენებელი დეპეშა, საქართველოში „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას“ რომ იუწყებოდა...

...თბილისი. იანვარი. 1990 წელი... მთავრობის სახლთან გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე ყველას გასაგონად ცხადდება: „ქარელში, რაიონული საბჭოს აღმასკომის შენობაზე საქართველოს ეროვნული დროშა ფრიალებს... გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქარელს!“

ამავე მიტინგზე ითქვა, რომ ქარელში აღარ ფუნქციონირებს პარტიის ქარელის რაიკომი და აღმასკომი, მაგრამ ეს არ იყო სწორი ინფორმაცია. პარტიის ქარელის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი დღესაც განაგრძნობენ ჩვეულ ფუნქციონირებას. ოღონდ ეს არის, რომ საქართველოს სამფეროვანი ეროვნული დროშა, ქარელის სახალხოფრონტელებმა რომ აღმართეს, კვლავ ამაყად ფრიალებს აღმასკომის შენობის თავზე. მის გვერდით კი მოკრძალებით, თითქოს გაუბედავადაც გამოიყურება... საბჭოური წითელი დროშა, თავის მიერ დაპყრობილ საქართველოში რომ შემოაფრიალა ხარაგოულელმა „რაინდმა“.

„ორხელისუფლებიანობა“ ქარელში გრძელდება!

ს. ფრონტელი. — ეს რად გინდა, „გარდაქმნის პროექტორი“ ხომ არ გადაგეწვა?!

რედაქტორი ჯემალ ინჯია.

სარედაქციო კოლეგია: ვაჟა დადიანიძე, ყუჟუნა ვაშაგაშვილი, ელდარ მამისთვალიშვილი, ვასილ მამულაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა მახარობლიძე, ზაზა მებადური, ნუნუ ოთარაშვილი, ჯემალ სტეფნაძე.

მასალები მოგვაწოდეთ მისამართით: გორი, ცაბაძის 5, გორის სახალხო ფრონტი. ტელ. 2-57-90.

• • •

საქართველოს გამსახკომის გორის სტამბა, ტინისხიდის 28.

ნომრის ფოტოები გოჩა გალაშვილისა.

მხატვრები მ. უორანაშვილი, შ. ხმალაძე, რ. ჭარჭუსაშვილი.

• • •

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შეესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას.